საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-09/406

27 ივლისი 2018 წ. ქ. ბათუმი

„ საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შეწყვეტილი/შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2015 წლის 2 ოქტომბრის №01-09/466 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „ საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის სემესტრისათვის შეწყვეტილი/შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2015 წლის 2 ოქტომბრის №01-09/466 ბრძანების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მ. ქორიძის 2018 წლის 26 ივლისის (MES 01800946490), მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის სემესტრისათვის შეწყვეტილი/შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2015 წლის 2 ოქტომბრის №01-09/466 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი მარიამ ფირცხალაიშვილის (პ/ნ) ნაწილში ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტი

- მარიამ ფირცხალაიშვილი (პ/ნ) - 215 კრედიტის აღიარებით მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლების მე-7 სემესტრიდან (სტატუსი შეუჩერდა 19.05.2015 №01-09/250 ბრძანებით).

2. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში წარდგენილ იქნას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბრძანებაში აღნიშნულ სტუდენტს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, (ფაკულტეტს-სტუდენტის პირად საქმეებში ასახვის მიზნით, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

4. ბრძანება ძალაში შევიდეს ბსუ-ს რექტორის 2015 წლის 2 ოქტომბრის №01-09/466 ბრძანების გამოცემის დღიდან.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი,

ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში